



10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024

შესავალი

დემოკრატიის კვლევის ცენტრი 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას აჯამებს. 2024 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულმა უკიდურესად დამძიმებულმა მდგომარეობამ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია.

ბოლო ათეული წლის განმავლობაში პირველად, 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, აქციის მონაწილეთა დაშლისა და დაკავების პროცესში გამოყენებული **საპოლიციო ძალადობა საქართველოს სახალხო დამცველმა წამებად დააკვალიფიცირა**. დემონსტრაციების დარბევისას გამოყენებულმა სისტემურმა ძალადობამ, ძალადობის მკვიოდ ორგანიზებულმა ხასიათმა, დაკავებულთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიყენებული დაზიანებების სიმძიმემ, ლოკაცია და ხასიათმა შექმნა სარწმუნო მტკიცებულებები, რომ პოლიცია ძალადობრივ მეთოდებს აქციების მონაწილეთა დასასჯელად იყენებდა. ძალადობის თვითმხილველი საპატრულო პოლიციის უმოქმედობამ და სასამართლოს გულგრილობამ დაკავებულებზე წამების და არაადამიანური მოპყრობის თვალსაჩინო ნიშნების მიმართ, წამების და არაადამიანური მოპყრობის სახელისუფლებო ანგარიშსწორების იარაღად გამოყენების შესახებ მოსაზრება გაამყარა.

საანგარიშო პერიოდში ხელისუფლებამ უკიდურესად შეზღუდა კრიტიკული მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის სივრცე რეპრესიული კანონმდებლობის მიღებით და მედიის, პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ წარმოებული ცილისმწამებლური და ფიზიკური ანგარიშსწორების კამპანიით.

ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვას ფუნდამენტი გამოაცალა: 2024 წლის გაზაფხულზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (რუსული კანონი) კანონპროექტის განმეორებით ინიცირებამ და მასობრივი სახალხო პროტესტის ფონზე მიღებამ; მშვიდობიანი შეკრებამანიფესტაციების არაპროპორციული საპოლიციო ძალით არაერთხელ დაშლამ, რამაც ასობით მშვიდობიანი დემონსტრანტის დაზიანება გამოიწვია; არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო აქტივისტებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ წარმოებულმა ორკესტრირებულმა ძალადობამ და დაშინების კამპანიამ; წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საჯარო უწყებების მიერ ადამიანების პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავების შესახებ ფართოდ გავრცელებულმა ცნობებმა; კენჭისყრის დღეს ხმის ფარულობის და საარჩევნო პროცესის იმდენად ფართოდ გავრცელებულმა დარღვევამ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არჩევნების

ლეგიტიმურობის საკითხი; ნოემბერ-დეკემბერში საპოლიციო ძალების მიერ შეკრების მონაწილეთა დაკავებისას და დაკავების შემდეგ განხორციელებულმა წამებამ, არაადამიანურმა და დამამცირებელმა მოპყრობამ; დაკავებულებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების წართმევამ და მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულმა სისტემურმა და ორგანიზებულმა ძალადობამ.

2024 წლის გაზაფხულზე „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში შემოაბრუნა 2023 წელს გაწვეული, თავისი არსით რუსული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომლითაც საფრთხის ქვეშ დააყენა ყველა იმ არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული ფორმით რეგისტრირებული გაერთიანების არსებობა, რომელიც დაფინანსებას საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისგან იღებს. სამოქალაქო საზოგადოებამ კანონის ხელახალ ინიცირებას ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებით უპასუხა. დემონსტრაციები ხელისუფლებამ არაპროპორციული ძალის გამოყენებით, უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაშალა. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნას არ დათანხმდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი, რაც მათ ორგანიზაციული ფორმით არსებობას საფრთხის ქვეშ აყენებს. ეს ფაქტი გაერთიანების თავისუფლების ყველაზე მასშტაბური შეზღუდვაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელიც თავისი ბუნებით დისკრიმინაციული და არაკონსტიტუციურია. სამოქალაქო ორგანიზაციები აგრძელებენ დავას როგორც საქართველოს საკონსტიტუციო, ასევე, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებული ფინანსური სანქციები ამ დრომდე არ ამოქმედებულა, კანონის მიღებამ უკვე იქონია უარყოფითი გავლენა ორგანიზაციების განვითარებასა და მიმდინარე საქმიანობაზე.

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებამ, 2028 წლამდე შეაჩეროს ევროკავშირთან გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების გახსნა, ქვეყნის არა ერთ ქალაქში მრავალათასიანი საპროტესტო მანიფესტაციები გამოიწვია. 2024 წლის 28 ნოემბრიდან ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარე საპროტესტო აქცია პოლიციამ თითქმის ყველა შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაშალა და 500-მდე აქციის მონაწილე დააკავა, მათი ნაწილი სისხლისსამართლებრივი წესით. აქციების დარბევის პროცესში სამართალდამცავების მიერ წყლის ჭავლის, წიწაკის სპრეის და ცრემლსადენი გაზის კანონიერი საფუძვლების გარეშე გამოყენების გარდა, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ნიღბიანი, არაიდენტიფიცირებადი პირების მიერ მოქალაქეებზე ფიზიკური ძალადობა, ჯგუფურად თავდასხმა, ცემა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. იდენტიფიკაციის ყოველგვარი ნიშნის გარეშე მყოფი, საპოლიციო აღჭურვილობის მქონე ნიღბიანი პირების მხრიდან რუსთაველის გამზირზე დემონსტრანტების რამდენიმე საათის განმავლობაში დევნის მიზანი მოქალაქეების ფიზიკური დაზიანება, მათი სამაგალითო დასჯა და დაშინებაა. სამართალდამცავების მიერ გამოყენებულ ძალადობას არაფერი აქვს საერთო კანონიერ საპოლიციო ღონისძიებებთან.

ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ძალადობა ძირს უთხრის სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებს და შეუძლებელს ხდის ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოში. ამის მიუხედავად, წარმოგიდგენთ 2024 წლის ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის ანგარიშს. ანგარიში ყოვლისმომცველი არაა. მასში თავმოყრილია მხოლოდ იმ უფლებების დაცვის მდგომარეობა, რომელზეც დემოკრატიის კვლევის ცენტრი საანგარიშო პერიოდში მუშაობდა.

წამების და არაადამიანური მოპყრობის დაუშვებლობა

წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვას აბსოლუტური ხასიათი აქვს. წამების აბსოლუტურ და ყოვლისმომცველ აკრძალვას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენცია.

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამართალდამცველების მიერ აქციის მონაწილეების მიმართ გამოყენებულმა ძალადობამ წამების ზღვარს მიაღწია. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, აქციებზე დაკავებული და დაზარალებული პირებისთვის მიყენებული დაზიანებების ლოკაცია, ხასიათი და ხარისხი სარწმუნო წარმოდგენას ქმნიდა იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციამ მოქალაქეების მიმართ ძალადობრივი მეთოდები დასჯის მიზნით გამოიყენა, რაც წამების შემადგენლობას ქმნის.¹

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებულ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს „ქართულმა ოცნებამ“ უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის არაპროპორციული საპოლიციო ძალა დაუპირისპირა. საპროტესტო აქციებზე, 8 დეკემბრის მდგომარეობით, 500-მდე პირი დააკავეს; მათი აბსოლუტური უმეტესობა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელის ადვოკატების ინფორმაციით, დაკავებულთა დაახლოებით 80 პროცენტი სასტიკად ნაცემია, რაც საქართველოს სახალხო დამცველმაც დაადასტურა.²

რამდენიმე მშვიდობიანი დემონსტრანტი, რომელთაც დაკავებისას არავითარი დაზიანება არ აღენიშნებოდათ, დაკავების შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში მოხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ხელში მიყენებული უმძიმესი დაზიანებებით. მათ უმეტესობას მთელ სხეულზე სისხლჩაქცევები აღენიშნებოდათ,³ ასევე, ჰქონდათ დაზიანებები სახისა (ძირითადად ცხვირისა და ყბის მოტეხილობები) და თავის არეში. მედპერსონალის ინფორმაციით, ადვოკატთა მიერ მონახულეზულ ყველა პირს, ტვინის შერყევა, მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ჰემატომები ჰქონდა და უჭირდა როგორც გადაადგილება, ისე, საუბარი.⁴ დაზარალებულებისთვის მიყენებული დაზიანებების ადგილი (განსაკუთრებით სახისა და თავის მიდამოები),⁵ ხარისხი, დაზიანების მიყენების დრო და ინტენსივობა, საპოლიციო ძალების მხრიდან ანგარიშსწორებისა და დაშინების მიზანზე მიუთითებს.

დაკავებულების განცხადებით, სამართალდამცავების მხრიდან ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც დაკავების პროცესში, ასევე, დაკავების შემდეგ. რამდენიმე დაკავებულის განცხადებით, მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში სცემეს. დაზარალებულებმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადვოკატებთან ისაუბრეს მათი მისამართით განხორციელებულ წამებისა და

¹ სახალხო დამცველის განცხადება, 3 დეკემბერი, 2024, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/241203081257sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba>

² საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, სახალხო დამცველმა ავჭალაში მდებარე დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული პირები მოინახულა, 02.12.2024, ხელმისაწვდომია: <https://meshfor.com/a2we0zrs>

³ რადიო თავისუფლება, „ცემა, დაკავება, ზოზლი, ლოდინი სასამართლოში - „დაგვიცინან“, 02.12.2024, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/94UUz>

⁴ დემოკრატიის კვლევის ცენტრი, „დაკავებულ მოქალაქეებს არაადამიანურად ეპყრობიან!“, 02.12.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1567/>

⁵ რადიო თავისუფლება, „რამდენმა პოლიციელმაც დამინახა, ყველამ დამარტყა“ - როგორ ასამართლებენ აქციანზე დაკავებულებს, 02.12.2024. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/7xcmI>

არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე: მათი თქმით, პოლიციის მიკროავტობუსში დაკავებულებს სულ მცირე ექვსი სპეცრაზმელი უმოწყალოდ სცემდა. ძალადობის პროცესში სამართალდამცვეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ზემდგომი პირი ხელმძღვანელობდა. სწორედ ის გასცემდა მითითებებს, სად დაერტყათ დაკავებულებისთვის - ღვიძლის თუ კეფის არეში. დაკავებულების ინფორმაციით, ცემის პარალელურად, მათ აფურთხებდნენ, აგინებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.⁶ ხანგრძლივი, უწყვეტი ცემის შემდეგ, პოლიციის მიკროავტობუსებში, რომლითაც ისინი გადაჰყავდათ, სისხლის გუბები იდგა. პოლიციის მიკროავტობუსიდან გადმოყვანილ დაკავებულებს, სანამ საპატრულო პოლიციის მანქანამდე მიიყვანდნენ, სამართალდამცველების „კორიდორში“ ატარებდნენ, სადაც პოლიციელები სათითაოდ ურტყამდნენ ფეხებს სახისა და ზურგის არეში. ყველა შემთხვევაში, როდესაც საპროტესტო აქციაზე დაკავებულ პირებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ზემდგომის მითითებით, ხდებოდა კონტროლი, არაადამიანურად მოპყრობის პროცესში ვინმე არ შემოჰკვდომოდათ. რამდენიმე დაზარალებულის ინფორმაციით, მათი ცემის პროცესს იღებდნენ (ერთ-ერთი, ვინც ცემის პროცესს იღებდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად ხარაზიშვილია).

სპეცრაზმელებმა დაკავებულებს ძვირადღირებული ტელეფონები, ყურსასმენები, დამტენები, ქურთუკები და ფეხსაცმელები წაართვეს, რის გამოც ბევრი მათგანი სამედიცინო დაწესებულებაში ფეხშიშველი მიიყვანეს.

საპოლიციო ძალების განსაკუთრებული სისასტიკის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი, 3 დეკემბერს დაზარალებული 22 წლის ახალგაზრდაა, რომელიც მართვით სუნთქვაზე იმყოფება.⁷ გავრცელებული ინფორმაციით, სპეცრაზმელებმა აქციის მონაწილეს, თვალში, სავარაუდოდ, ე.წ. გაზის კაფსულა მოარტყეს.

ამ კონტექსტში, კიდევ უფრო დიდ გამოწვევას წარმოადგენს საპოლიციო ძალების იმგვარი აღჭურვილობა, რაც მათ იდენტიფიცირებას შეუძლებელს ხდის და პასუხისმგებლობის დადგომის საკითხსაც უკიდურესად ართულებს. პოლიციელების პერსონალური მონაცემების დაცვა შეიძლება იყოს უსაფრთხოების ლეგიტიმური საზრუნავი, თუმცა ეს არ უნდა აბრკოლებდეს სამართალდამცვეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიებას. საქართველოს კანონმდებლობით, სპეცრაზმის საიდენტიფიკაციო ნიშნებით უზრუნველყოფა სავალდებულო აღარ არის. მსგავსი მიდგომა ადასტურებს ხელისუფლების განზრახვას, შეუქმნას აბსოლუტური დაცულობის განცდა დემონსტრანტების მიმართ ძალადობის პროცესში ჩართულ სამართალდამცველებს.

მედიის თავისუფლება

2024 წელს მედიის თავისუფლების კუთხით საქართველოში მდგომარეობა გაუარესდა. საანგარიშო პერიოდში პრესის თავისუფლების საერთაშორისო რეიტინგში საქართველომ 77-დან 103-ე

⁶ იქვე.

⁷ ინტერპრესნიუსი, არსებული ინფორმაციით, აქციაზე დაშავებული 22 წლის ბიჭი მართვით სუნთქვაზე იმყოფება, 03.12.2024. ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/823097-arsebuli-inpormaciit-akciaze-dashavebuli-22-clis-bichi-martvit-suntkvaze-imqopeba>

ადგილზე გადაინაცვლა.⁸ მედიის თავისუფლების უკუსვლა სხვა არაერთ ფაქტორს შორის, ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმების რაოდენობის ზრდამ და რეპრესიული „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ (ე.წ. რუსული) კანონის მიღებამ განაპირობა, რომელიც დამოუკიდებელი მედიის მარგინალიზაციას და სიტყვის თავისუფლებისთვის სივრცის შევიწროებას ისახავს მიზნად. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რამაც საქართველოს რეიტინგის მნიშვნელოვან გაუარესებას შეუწყო ხელი, მედიაში პოლიტიკური პოლარიზაცია, მანიპულირება, სიმულვილის ენის და დეზინფორმაციის ფართოდ გავრცელება იყო. მედია საშუალებების პოლარიზაცია და პარტიების მიმართ მათი დამოკიდებულება კრიტიკულად შეაფასა ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიამაც. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეუთო/ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წინასწარ დასკვნაში⁹ ნათქვამია, რომ მედია უკიდურესად პოლარიზებულია და დაფინანსების თვალსაზრისით დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებულ კერძო პირებზე, რაც ძირს უთხრის დამოუკიდებელ ჟურნალისტიკას. მისიამ ჩათვალა, რომ მედიასაშუალებების პოლიტიკური პროპაგანდის ინსტრუმენტად გამოყენება შეუძლებელს ხდიდა ახალი ამბების დამოუკიდებელ გაშუქებას და ამდაგრებდა პოლიტიკური პოლარიზაციის რიტორიკას. ხოლო წინასაარჩევნო პროცესში პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიუკერძოებელი ანალიზის სიმცირე და პარტიების უარი მონაწილეობა მიეღოთ დებატებში, ამომრჩევლების უზღუდავდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

საანგარიშო პერიოდში მედიის თავისუფლების კუთხით ყველაზე სერიოზულ პრობლემას მედიის მიმართ ხელისუფლების წახალისებული მტრული გარემო წარმოადგენდა, რაც ჟურნალისტების მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებაში და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის მრავალრიცხოვან ფაქტებში გამოიხატა. რამდენიმე შემთხვევაში ჟურნალისტებს თავს სამართალდამცავები დაესხნენ. 2024 წლის გაზაფხულზე, რუსული კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე ჟურნალისტებზე ძალადობის, მათი დაკავებისა და საქმიანობაში ხელის შეშლის არა ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. მედიაომბუდსმენის ინფორმაციით, 28 აპრილიდან 1-ელ მაისამდე პერიოდში,¹⁰ სპეცრაზმელები თავს დაესხნენ ათ ჟურნალისტსა და ოპერატორს. მედიაომბუდსმენმა აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სპეციალურ საგამომიებო სამსახურს მიმართა. სამსახურმა აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება დაიწყო, თუმცა, რა ეტაპზეა პროცესი, საზოგადოებისთვის უცნობია.¹¹

ჟურნალისტებზე თავდასხმები გაგრძელდა არჩევნების დასრულების შემდეგაც. სამართალდამცავებმა პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალეს მედია „აპრილის“ ფოტორეპორტიორს,¹² თბილსერვისჯგუფის ფორმიანი პირი თავს დაესხა NEWS.On.ge-ს

⁸ Civil Georgia, პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს მდგომარეობა 26 პოზიციით გაუარესდა, 03.05.2024, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/603791>

⁹ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის 26 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, 31.10.2024, ხელმისაწვდომია:

https://www.osce.org/files/f/documents/8/0/579382.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR3GCEINqdnVXtTqd6Lo28coS-y1W4BsM8WuSI6Yn3PFxT7JZDKXCC6sPXU_aem_nGDEsZKvXUeyOKa_Fk7vGg

¹⁰ რადიო თავისუფლება, „მედიაომბუდსმენის ცნობით, ოთხ დღეში სპეცრაზმელების სამიზნედ ათი ჟურნალისტი და ოპერატორი იქცა“, 01.05.2024. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32929067.html>

¹¹ Civil Georgia, „სპეციალურ საგამომიებო სამსახურში პოლიციის სისასტიკეზე გამოძიება მიმდინარეობს“, 07.05.2024. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/604430>

¹² მედიაჩეკერი, ვახო ქარელს ქალების აქციის გაშუქებისას პოლიციელმა პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალა, 13.11.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/98895-vakho-qarels-qalebis-aqciis-gashuqebisas-policielma-profesiul-saqmianobashi-kheli-sheushala>

ჟურნალისტს,¹³ აქციების გაშუქების დროს სცემეს და დააკავეს „მთავარი არხის“ ოპერატორი, იმალადეს OC Media-ს, პუბლიკა-ს, ნეტგაზეთის ჟურნალისტებზე, გადაღებაში ხელი შეუშალეს „ფორმულა“-ს გადამღებ ჯგუფს.¹⁴

ჟურნალისტების მიმართ სამართალდამცავებისა და ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი ძალადობრივი ჯგუფების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილმა ძალადობამ კრიტიკულ ნიშნულს მას შემდეგ მიაღწია, რაც ირაკლი კობახიძის განცხადებამ ევროკავშირთან მოლაპარაკების პროცესის 2028 წლამდე შეწყვეტის შესახებ, ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია. 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, სამართალდამცველთა ან ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი ძალადობრივი ჯგუფების ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი სულ მცირე 55 ჟურნალისტი გახდა, მათ შორის, რამდენიმე პირდაპირი ეთერის დროს. პროტესტის გაშუქების დროს მედია საშუალებების წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი ძალადობის სისასტიკე და სისტემური ხასიათი, რასაც ამ დრომდე არ მოჰყოლია სამართლებრივი რეაგირება, მიუთითებს, რომ მედიის წარმომადგენლების მიმართ ანგარიშსწორება ხელისუფლების ორგანიზებულია.

მართალია, სპეციალურმა საგამომიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაზე,¹⁵ თუმცა საზოგადოებისთვის უცნობია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. ერთადერთი შემთხვევა 2024 წელს, როდესაც სპეციალური საგამომიებო სამსახურმა ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტის გამოძიება სამართლებრივ შედეგამდე მიიყვანა, არის TV მონიტორინგის გადამღებ ჯგუფზე თავდასხმისთვის 2 პირის მიმართ ბრალდების წაყენება.¹⁶

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

საქართველოში 2024 წელს შეკრებისა და გამოხატვის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 2024 წლის გაზაფხულზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განმეორებით ინიცირებამ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები გამოიწვია და ისედაც დაძაბული პოლიტიკური გარემო უკიდურესად პოლარიზებული გახდა. საპროტესტო აქციებისა და მწვავე საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ კანონპროექტი სამი მოსმენით მიიღო. კანონის მიღებას წინ უძღოდა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პოლიტიკოსებისა და საპროტესტო აქციების მონაწილეთა დაშინებისა და მათზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები, რასაც სპეციალური საგამომიებო სამსახურისა და შინაგან საქმეთა

¹³ NEWS.On.ge, პარლამენტთან აქციის გასაშუქებლად მისულ NEWS.On.ge-ს ჟურნალისტს თავს დაესხნენ, 25.11.2024, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/PXlxx>

¹⁴ Police Attacks, Detains, Obstructs Media Workers Covering Post-election Protests, 25.11.2024, ხელმისაწვდომია: https://fom.coe.int/en/alerte/detail/107641743?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAR0NrojwFrvqhOBXwrfUp0nA3oBEHm_HA0C_N8GPm7qhAy6nBmOzbSYgxY1Y_aem_ccQINu8gwwHuHtypinXH1g

¹⁵ მედიაჩეკერი, „იმედის“, „მთავარი არხისა“ და „პირველი არხის“ თანამშრომლებისთვის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, 20.11.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/99006-imedis-mthavari-arkhisa-da-pirveli-arkhis-thanamshromlebishvis-zhurnalstur-saqmianobashi-ukanonod-khelis-sheshlis-faqtze-gamodzieba-daitsyo>

¹⁶ სპეციალური საგამომიებო სამსახურის facebook გვერდი, სპეციალური საგამომიებო სამსახურის განცხადება, 27.11.2024,

ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/sis.gov.ge/posts/pfbid026TjphU46RsDY5jH4wG9MdE5XDBW91Dhn8pum17Nqpt4KrEK7M2vwbxbzEtE1m66Jl?rdid=HUtKN0OMIDOLuI0F#>

სამინისტროს მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.¹⁷ ხელისუფლების მიერ ღიად მხარდაჭერილი ორგანიზებული ჯგუფები ფიზიკურად გაუსწორდნენ სამოქალაქო აქტივისტებსა და ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს.

გარდა ფიზიკური ძალის გამოყენებისა, აპრილსა და მაისში მმართველმა პარტიამ აქციის მონაწილეთა დაშინების მიზნით კოორდინირებული სატელეფონო მუქარის კამპანია აწარმოვა. აქციების მიმდინარეობის პარალელურად, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრებს, აქტივისტებს, ჟურნალისტებს, უბრალოდ, სოციალურ სივრცეში აქტიურ ადამიანებს და მათი ოჯახის წევრებს (მათ შორის, არასრულწლოვანებს) პირად ტელეფონის ნომრებზე ურეკავდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ და აქციებში მონაწილეობის გაგრძელების შემთხვევაში ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. რამდენიმე შემთხვევაში, ორგანიზებულმა ჯგუფებმა დააზიანეს არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების ან/და მათი ოჯახის წევრების საკუთრებაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებები, შეურაცხმყოფელი წარწერებით, პლაკატებით და სტენსილებით ააჭრელეს ოფისების და ორგანიზაციების ხელმძღვანელების საცხოვრებელი სახლების და ჭიშკრების ფასადები.¹⁸

2024 წელს გამართული ის საპროტესტო აქციები, როდესაც, სამართალდამცავებმა იძულებითი ღონისძიებები გამოიყენეს, ძირითადად დაკავშირებული იყო ე.წ რუსული კანონის ხელახლა ინიცირებასთან, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებასთან და ევროკავშირთან მოლაპარაკების პროცესის შეჩერებასთან.

სამართალდამცავთა მხრიდან იძულებითი ღონისძიებების უკანონოდ გამოყენების მასშტაბურობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით 28-29 ნოემბერს დაწყებული საპროტესტო აქციები გამოირჩევა, რა დროსაც შსს უსაფუძვლოდ, არაპროპორციული ძალის გამოყენებით არბევს მშვიდობიან დემონსტრანტებს. არც ერთ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცველებმა აქციის დასაშლელად ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები გამოიყენეს, არ არსებობდა აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე შემთხვევაში ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევებიდან გამომდინარე, საპოლიციო ძალების მიერ გამოყენებული სპეციალური ღონისძიებები არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულად, რამაც აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მასობრივად დაშავება გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში, საპოლიციო ძალების მხრიდან მთლიანად აქციის დარბევა ეწინააღმდეგება როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს და ევროსასამართლოს პრაქტიკას.¹⁹

აპრილში, მაისსა და ნოემბერ-დეკემბერში გამართული საპროტესტო აქციების დაშლის დროს, შსს-ს არც ერთ შემთხვევაში არ გაუფრთხილებია აქციის მონაწილეები სათანადო წესით²⁰. შსს-ს მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადება, ვერ ჩაითვლება დემონსტრანტთა გაფრთხილებად, ადგილზე გაჟღერებული ხმოვანი სიგნალი კი როგორც წესი დარბევის პარალელურად ან/და რამდენიმე წუთის შემდეგ ირთვებოდა. ამასთან, გაფრთხილება არც ერთ შემთხვევაში არ შეიცავდა კანონიერ მოთხოვნას (რადგან არც ერთ შემთხვევაში, პროტესტს არ მიუღია ძალადობრივი სახე).

¹⁷ radiotavisupleba.ge, 27.05.2024, „არჩევნები მოდის, ვის ხელშია ცეცქო?“, იხ. <https://shorturl.at/byH18>

¹⁸ Netgazeti.ge (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/721899/>

¹⁹ Nurettin Aldemir and others v. Turkey, applications ##32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02, judgment of 18 December 2007, paras. 45-46

²⁰ შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, სამართალდამცავები ვალდებული არიან მისცენ აქციის მონაწილეებს გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთისა), კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.

საპროტესტო აქციების დაშლის დროს სამართალდამცავთა მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების ინტენსივობა, ხანგრძლივობა და თანმიმდევრობა ყველა შემთხვევაში გასცდა საერთაშორისო სტანდარტების, კანონმდებლობით დადგენილ თანაზომიერების ფარგლებს და სადამსჯელო ხასიათი მიიღო. მაისში, აპრილსა და ნოემბერ-დეკემბერში გამართულ საპროტესტო აქციებზე სამართალდამცავებმა ერთდროულად გამოიყენეს წიწაკის სპრეი, წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი. რამდენიმე შემთხვევაში შსს-მ მშვიდობიანი დემონსტრანტების მისამართით არალეტალური იარაღი (რეზინის ტყვიები) გამოიყენა.²¹ შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქცია კრძალავს არალეტალური იარაღისა და არალეტალური ჭურვის გამოყენებას ოცი მეტრის დისტანციაზე ახლოს მყოფი პირის წინააღმდეგ, ასევე, სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში (თავში, კისერში, მუცელში, გენიტალებში).

ნოემბერ-დეკემბრის საპროტესტო აქციის დროს, დემონსტრანტების ინფორმაციით, წყლის ჭავლში გარეული იყო ცრემლსადენი გაზი, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2024 წელს 21 ოქტომბრის განცხადებით თავად დაადასტურა.²² 2024 წელს სპეციალური საშუალებების უკანონოდ გამოყენების გარდა, სამართალდამცავები ფიზიკურად გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე საათის განმავლობაში, შეკრების ადგილიდან საკმაოდ მოშორებით მისდევდნენ, წრეში აქცევდნენ და განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ დემონსტრანტებს, მათ შორის, ჟურნალისტებსა²³ და პოლიტიკოსებს.²⁴

შსს-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ფიზიკური ძალა თანაზომიერების პრინციპის დაცვით, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და კონკრეტული გარემოებისათვის საჭირო მინიმალური ოდენობით უნდა გამოიყენონ. ორგანიზაციის შეფასებით, 2024 წელს არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა ფიზიკური ძალის გამოყენების წინაპირობა.

დემოკრატიის კვლევის ცენტრის შეფასებით, აქციის ზოგიერთი მონაწილისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანების ხასიათი მოწმობს, რომ დაზიანებები (ძირითადად, დაშავებული სახის და თავის მიდამოები) და დაკავების მეთოდები წარმოადგენდა აქციის მონაწილეების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ აშკარა ანგარიშსწორებას.

„ქართული ოცნების“ რიტორიკა²⁵ ადასტურებს, რომ 2024 წელს წარმოებული დაშინების და მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ანგარიშსწორების კამპანიის უკან მმართველი პარტია დგას.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

საპროტესტო აქციებისას კვლავ იკვეთება უკანონო მასობრივი დაკავებების და დაჯარიმების პრაქტიკა. შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის

²¹ რადიო თავისუფლება, „რეზინის ტყვიები მომხვდა, მირტყამდნენ, ვერ ვსუნთქავდი - აქციაზე დარბეულების ისტორიები“, 02.05.2024. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/QPxel>

²² იხ. <https://www.facebook.com/share/p/1Gng4LTdcq/>

²³ ambebi.ge, იხ. <https://www.ambebi.ge/article/318698-rustavelis-gamzirze-dashavda-pormulas-zhurnalisti/>

²⁴ radiotavisupleba.ge, იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33220008.html>

²⁵ ინტერპრესნიუსი, „სამოქალაქო აქტივისტი, ზუკა ბერძენიშვილი სცემეს“, 11.06.2024. ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/802834-samokalako-aktivistizuka-berzenishvili-scemes/>

მსუსხავი ეფექტისთვის აქტიურად იყენებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174¹-ე მუხლებს. თუ 2024 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, სასამართლო შეკრების მონაწილეების მიმართ ძირითადად ადმინისტრაციულ ჯარიმას იყენებდა, მოსამართლეებმა 2024 წლის ნოემბერი-დეკემბრის პროცესების დროს აქციებზე დაკავებული მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ მასობრივად დაიწყეს ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება.

არც ერთ შემთხვევაში, როდესაც აქციაზე დაკავებულ და მოსამართლის წინაშე წარდგენილ პირს არაადამიანური მოპყრობის კვალი ვიზუალურად ემჩნეოდა, მოსამართლე დაზიანებების გამომწვევი მიზეზებით არ დაინტერესებულა. ადვოკატების შუამდგომლობაზე, სასამართლო დაცვის მხარეს სპეციალურ საგამომიებო სამსახურში ამისამართებდა, მიუთითებდა რა, რომ განხილვის საგანს დაზიანებების წარმოშობის მიზეზის შესწავლა არ წარმოადგენდა.

პრობლემურია ადვოკატებისთვის ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებთან შეხვედრა, რაც განპირობებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ხელოვნური ბარიერების შექმნით. დაკავებულების ოჯახისა და ადვოკატებისთვის დაკავებიდან საათების განმავლობაში უცნობია დაკავებული პირის ადგილსამყოფელი. დაცვის უფლების განხორციელებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ადვოკატებს პოლიციის იზოლაცორებთან უწევთ ლოდინი მათი ადგილსამყოფლის დასადგენად და მოსანახულებლად. ადვოკატთა ნაწილის განცხადებით, დაცვის მხარეს შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს დაკავებული პირის იზოლაცორში შესახლებამდე არ ასწრებენ.

უმეტეს შემთხვევებში, დაკავებულ პირთა საქმეებში არასწორადაა მითითებული დაკავების დრო, ყველა შემთხვევაში ფაქტობრივი დამკავებელი პირის ვინაობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში დამკავებლად გაფორმებული სამართალდამცავის ვინაობას არ ემთხვევა, შესაბამისად, სასამართლოში გამოძახებული სამართალდამცავი მოწმეების ნახევარზე მეტი სასამართლოს ცრუ ჩვენებას აძლევს.

2024 წლის განმავლობაში შსს გახანგრძლივებული ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკას იყენებდა ყველა დაკავებულის მიმართ (გამონაკლისი იყო მხოლოდ არასრულწლოვანები და ქალები; მათ დაკავებიდან ორ საათში ხელწერილით ათავისუფლებდნენ). ადვოკატები სასამართლოზე დაკავების კანონიერებისა და პატიმრობის ვადის 48 საათამდე გახანგრძლივების კანონიერებაზე შუამდგომლობას აყენებდნენ, რასაც სასამართლო არ განიხილავდა. პრობლემური იყო დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად არაგონივრულად მცირე დროის მიცემა, როდესაც ზოგიერთი ადვოკატი თავის დაცვის ქვეშ მყოფს სასამართლოში პირველად ხვდებოდა. მოსამართლის მიერ დაცვის მხარისთვის მიცემული რამდენიმე წუთი დაკავებულთან გასაუბრების პარალელურად, ვიდეომასალისა და საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას და მოწმეების მოყვანას შეუძლებელს ხდიდა. საქმეების განხილვის დროს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, არც ერთ პროცესზე არ წარმოუდგენიათ სამხრე კამერების ჩანაწერები.

საპროტესტო აქციების დროს დაკავებულთა სასამართლო პროცესების დამით ჩატარება ჩვეულ ნორმად იქცა, რამაც მნიშვნელოვნად დააბრკოლა დაცვის უფლების განხორციელება. როგორც წესი, დაკავებულების ადვოკატებისთვის უცნობია სასამართლო პროცესის დაწყების დრო. იმისთვის, რომ დაკავებულები დაცვის გარეშე არ დარჩენილიყვნენ, არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ადვოკატებს სასამართლო დარბაზებთან უწევდათ მორიგეობა. სასამართლოს დადგენილებები ადმინისტრაციული სახდელის თაობაზე დასაბუთებული არაა და სამართალდამცავების არათანმიმდევრულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს ეყრდნობა, რაც ამყარებს ეჭვს, რომ მოსამართლეები შაბლონურ ტექსტს იყენებენ.

საარჩევნო უფლება

2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს დიდი რაოდენობით ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენა, რამაც უთანასწორო მდგომარეობაში ჩააყენა საარჩევნო სუბიექტები და ამომრჩევლებს ხელი შეუშალა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.²⁶ საარჩევნო წელს რეკორდულად გაიზარდა როგორც საარსებო შემწეობის მიმღებთა, ისე თბილისის მერიებსა (მერიების ა(ა)იპებსა) და საკრებულოებში დასაქმებულთა რაოდენობა და სახელფასო ფონდი. წინასაარჩევნო გარემო კიდევ უფრო დააზარალა წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებულმა მასშტაბურმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა, პროგრამებმა და ინიციატივებმა, რომლებიც მიზნად ისახავდა კონკრეტული ჯგუფების კეთილგანწყობის მოპოვებას, ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის, პარტიულ ღონისძიებებში საჯარო მოხელეთა მონაწილეობის, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების და მუნიციპალურ ღონისძიებებში საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობის შემთხვევებმა.

წინასაარჩევნო პერიოდში (კენჭისყრის დღის ჩათვლით) ადგილი ჰქონდა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებზე თავდასხმის სულ მცირე 30 შემთხვევას. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში, სამართალდამცავები თავად შეესწრნენ მომხდარს ან/და არსებული ვიდეო მასალით მარტივად იდენტიფიცირებადი იყო თავდამსხმელი პირები, საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, დაიწყო თუ არა გამოძიება ფიზიკური ძალადობის რომელიმე ფაქტთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პირის უფლება, მხოლოდ საკუთარი შეხედულებით, თავისუფალ და თანასწორ გარემოში გააკეთოს არჩევანი, 2024 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული მასშტაბით დაირღვა. სხვადასხვა წყაროებით დასტურდება, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ნების საწინააღმდეგოდ ართმევდნენ და ამომრჩეველთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდნენ. აღნიშნული მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევას წარმოადგენს. ამასთან, სისხლის სამართლის წესით ისჯება პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.

2024 წელს საარჩევნო უფლება დაუსაბუთებლად შეეზღუდა საქართველოს იმ ათასობით მოქალაქეს, რომლებმაც, სურვილის მიუხედავად, საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემა ვერ შეძლეს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საზღვარგარეთ საარჩევნო უბანი იქმნება საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისთვის.²⁷ საგარეო საქმეთა სამინისტრომ არ გაასაჯაროვა ინფორმაცია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში

²⁶ დემოკრატიის კვლევის ცენტრი, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გარემოს შეფასება, 2024, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/9dNtZ>

²⁷ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 23, პუნქტი 7, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=91>

მონაწილეობის მიღების მიზნით რამდენი ადამიანი დადგა საკონსულო აღრიცხვაზე, რაც დამატებით კითხვებს აჩენს.

10 ოქტომბერს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, საერთო ჯამში, საზღვარგარეთ 67 საარჩევნო უბანი (42 ქვეყანაში) გაიხსნა.²⁸ საარჩევნო ადმინისტრაციამ უარი თქვა საარჩევნო უბნების იმ ქალაქებში გახსნაზე, სადაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები არ არის, თუმცა დიდი რაოდენობით ამომრჩეველი ცხოვრობს. შედეგად, 26 ოქტომბერს საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე მრავალათასიანი რიგები იდგა, საარჩევნო კომისიები დროულად ვერ ატარებდნენ ამომრჩევლებს, რის გამოც ვერ ახერხებენ ხმის მიცემას.²⁹

2024 წლის 26 ოქტომბერს იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, მასობრივად დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული კენჭისყრის ფარულობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპები. დამტკიცებული ბიულეტენისა და სპეციალური მარკერის მახასიათებლები ვერ უზრუნველყოფდა ხმის მიცემის ფარულობას და ბიულეტენის მეორე მხარეს მარტივად იდენტიფიცირებადი იყო ამომრჩევლის გაკეთებული არჩევანი. ხმის მიცემის ფარულობა ასევე სისტემურად ირღვეოდა ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში მოთავსებისას. ხმის მიცემის ფარულობა კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბანზე მმართველი პარტიის სტაციონარული ვიდეოგადაღების კამერების განთავსებითაც დაირღვა. საარჩევნო უბნებზე საარჩევნო ყუთთან „ქართული ოცნების“ კამერების განლაგებამ ამომრჩევლებში ზედმეტი წნეხის, ფარულობის დარღვევისა და ზეწოლის განცდა გააჩინა. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა მხოლოდ თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რაც სასამართლო ექსპერიმენტით კიდევ ერთხელ დადასტურდა.³⁰

ხმის მიცემის ფარულობის სისტემური დარღვევა, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ამომრჩეველთა მხრიდან ნების თავისუფალ გამოვლენას, რაც საარჩევნო უფლების რეალიზების ფუნდამენტია. წინასაარჩევნო პერიოდში არსებული გარემოსა და არჩევნების დღეს გამოყენებული გაყალბების სქემების, ასევე ამომრჩევლის ნებაზე უპრეცედენტო ზემოქმედებისა და ძალადობის ფაქტების ანალიზის შედეგად, სამოქალაქო საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგები არ ასახავდა საქართველოს მოქალაქეების ნებას.

შრომითი უფლებები

შრომის უფლების დაცვის კუთხით 2024 წელს არ მოგვარებულა არც ერთი სისტემური პრობლემა. არაერთი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ბარიერების გამო კვლავ სირთულეებთანაა დაკავშირებული მშრომელების უფლებების დასაცავად გაფიცვის გამოყენება. მიმდინარე საპროტესტო აქციების ფონზე ხშირად ისმოდა მოწოდებები გაფიცვისკენ; საპროტესტო აქციებს მხარდაჭერა გამოუცხადეს არა ერთი საჯარო დაწესებულების და კერძო სექტორის მშრომელებმა, თუმცა ხისტი საკანონმდებლო რეგულაციები: გაფიცვის ლეგალურ საფუძვლებში მხოლოდ დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული დავის არსებობა; პოლიტიკური

²⁸ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ გვერდი, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის დამატებით შვიდი საარჩევნო უბანი შეიქმნა, 11.10.2024. ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/awetfi>

²⁹ კოალიციური სადამკვირვებლო მისის - „ჩემი ხმა“, ჩემი ხმა: კენჭისყრის პროცესის შუალედური შეფასება 19:30, 26.11.2024, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post/chemi-xma-kenchisqris-procesis-shualeduri-shepaseba-1930>

³⁰ რადიო თავისუფლება, თეთრიწყაროს სასამართლომ ხმის ფარულობის დარღვევა დაადასტურა, 4.11.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33187677.html>

გაფიცვის კანონმდებლობაში გაუთვალისწინებლობა და გაფიცვამდე 21 დღიანი სავალდებულო მედიაციის პროცესის გავლა შრომის სამინისტროსგან დანიშნული მედიატორის მეშვეობით - მშრომელების მხრიდან გაფიცვის, როგორც დემოკრატიული ბრძოლის იარაღის გამოყენებას შეუძლებელს ხდის.

შრომითი უფლებების კუთხით პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ საქართველოში სამედიცინო სექტორის გარდა, არც ერთ სფეროში არ არის რეგულირებული მინიმალური ხელფასის ოდენობა. მართალია, მინიმალური ხელფასის სტანდარტის დაწესება და უმუშევრობის დაზღვევის სისტემის დანერგვა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ზოგიერთი საარჩევნო სუბიექტის პროგრამაში მოხვდა, თუმცა პოლარიზებული წინასაარჩევნო გარემოს და ხელისუფლების მიერ წარმოებული დემაგოგიური და დეზინფორმაციული კამპანიის ფონზე, ეს საკითხები აქტუალური პოლიტიკური დებატების ნაწილად ვერ იქცა.

საანგარიშო პერიოდში შრომითი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური კონფლიქტი 2024 წლის 12 ივლისს დაიწყო, როდესაც კომპანია „ევოლუმენ ჯორჯიას“ 4000-ზე მეტი თანამშრომელი გაიფიცა. დასაქმებულებს კომპანიის მიმართ 40-ზე მეტი მოთხოვნა ჰქონდათ, რომლებიც შრომის ანაზღაურების ზრდას, სამუშაო ადგილზე სანიტარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფას და მენეჯერების მხრიდან მტრული და დამამცირებელი მოპყრობის შეწყვეტას შეეხებოდა. გაფიცვას მხარდაჭერა გამოუცხადა არა ერთმა ქართულმა და უცხო ქვეყანაში მოქმედმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ.³¹ მშრომელების მრავალთვიანი პროტესტის მიუხედავად (რამდენიმე დასაქმებულმა შიმშილობაც კი დაიწყო), კომპანიამ პოზიციები არ დათმო. პირიქით, სამსახურიდან გაათავისუფლა გაფიცვის რამდენიმე მონაწილე.³² გაფიცულები და პროფკავშირი მიუთითებენ სახელმწიფოს პასიურობაზე და ინერტულობაზე.³³ „ევოლუმენ ჯორჯიას“ თანამშრომლების მრავალთვიანი გაფიცვა კიდევ ერთი დასტურია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა დასაქმებულებს ვერ უზრუნველყოფს საკუთარი უფლებების დასაცავად რეალური მექანიზმებით. დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის მედიაცია ბიუროკრატიულად დატვირთული პროცესია, რაც დასაქმებულთა ორგანიზებას აბრკოლებს. შრომის ინსპექცია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მანდატი საკმაოდ ფართოა, ხშირ შემთხვევაში ეფექტურად არ რეაგირებს უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. მშრომელთა უფლებების დაცვაზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ კანონმდებლობით მკაფიოდ არ არის გარანტირებული სოლიდარული გაფიცვის უფლება, რაც მასობრივი პროფკავშირული საქმიანობისთვის და ზოგადად ქვეყნის მასშტაბით შრომის უფლებების დაცვის მიზნით სხვადასხვა პროფესიით დასაქმებული ადამიანების გაერთიანებას აფერხებს. საქართველოს შრომის კოდექსი გაფიცვის შესაძლებლობას დასაქმებულებს მხოლოდ მათ დამსაქმებლებთან დავის არსებობის შემთხვევაში აძლევს, რაც გამორიცხავს სოლიდარული გაფიცვის უფლების გამოყენების შესაძლებლობას. მართალია, საქართველოს მთავრობის პოზიციით,³⁴ საქართველოს შრომის კანონმდებლობა არ გამორიცხავს სოლიდარული გაფიცვის უფლებით სარგებლობას, თუმცა ის,

³¹ მაუწყებელი, „რა გვაჩვენა „ევოლუმენის“ გაფიცვამ?“, 03.10.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.mautskebeli.ge/all-articles/1865>

³² პროფკავშირ ლაბორის Facebook გვერდი, 21.11.2024 ევოლუმენ ჯორჯიამ გაფიცული უკანონოდ გაათავისუფლა, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/share/p/1ATWU53XSU/>

³³ ნეტგაზეთი, „რატომ დუმს მთავრობა პროტესტზე, რომელიც შრომით უფლებებს და პოტენციურად ათასობით სამუშაო ადგილს ეხება“, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/740750/>

³⁴ Direct Request (CEACR) - adopted 2017, published 107th ILC session (2018) Freedom of Association and Protection of the Right to Organise Convention, 1948 (No. 87) - Georgia (Ratification: 1999). ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID,P11110_COUNTRY_ID,P11110_COUNTRY_NAME,P11110_COMMENT_YEAR:3344016,102639, Georgia, 2017

რომ სოლიდარული გაფიცვის უფლება შრომის კოდექსით პირდაპირ აღიარებული არაა, ასეთი გაფიცვის გამართვის დამაბრკოლებელი გარემოებაა. დღეს არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში გამართული სოლიდარობის გაფიცვა კანონიერი აღმოჩნდება თუ არა, საქართველოს სასამართლოების გადასაწყვეტია და სასამართლოს მიერ ამ საკითხის შეფასება შესაძლოა განსხვავებული იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, საქართველოს შრომის კანონმდებლობა არაორაზროვნად და პირდაპირ ანიჭებდეს დასაქმებულებს სოლიდარული გაფიცვის უფლებას. სოლიდარული გაფიცვა არა ერთ ქვეყანაში აღიარებული უფლებაა, რომელსაც დასაქმებულები იყენებენ ხელფასების გაზრდის, შრომის პირობების გაუმჯობესების და შრომასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფართო პრობლემების გადასაჭრელად, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნით და არა ვიწროდ, კონკრეტულ დამსაქმებლებთან დავის შემთხვევებისთვის.

საცხოვრებლის უფლება

მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებლის უფლება, როგორც ღირსეულად ცხოვრების უფლების აუცილებელი კომპონენტი, აღიარებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით,³⁵ საქართველოში საცხოვრებლის უფლების დაცვის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფოს პოლიტიკა არსებული გამოწვევების საპასუხოდ, არაადეკვატურია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ აქვს ხელი მოწერილი ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლზე, რომელიც ხელმისაწვდომი საცხოვრებლის და უსახლკარობის აღმოფხვრის უფლებას აღიარებს.³⁶ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე,³⁷ მაგრამ არ არსებობს კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტები და ხედვა, თუ როგორ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე და უსახლკარობის აღმოფხვრაზე.

2024 წელი საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული სოციალური პროტესტებით დატვირთული იყო. წლის დასაწყისში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო რამდენიმე საცხოვრებლიდან იძულებით გამოსახლების პროცესებმა. ერთ-ერთი გამოსახლების საწინააღმდეგო პროტესტის დროს სახელმწიფომ განსაკუთრებით დიდი მოცულობით საპოლიციო ძალა გამოიყენა და აქციაზე სისხლის სამართლის წესით 2, ხოლო ადმინისტრაციული წესით - 18 პირი დააკავა.³⁸ სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების მიმართ არაპროპორციული სასჯელის გამოყენების გამო დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელთ მიმართა.³⁹

საცხოვრებელთან დაკავშირებულ სოციალურ საპროტესტო გამოსვლებს სახელმწიფო მხოლოდ საპოლიციო, რეპრესიული ძალის გამოყენებით ან სრული იგნორირებით პასუხობს. მადნის

³⁵ The Right to Adequate Housing, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Publications/FS21_rev_1_Housing_en.pdf

³⁶ European Social Charter, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168007cf93>

³⁷ საქართველოს კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

³⁸ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16103>

³⁹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, DRI-მ სხვისი ნივთის ჯგუფურად დაზიანების/განადგურების სისხლის სამართლებრივ ნორმასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა, 21.03.2024. ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/1412/>

მოპოვების სამუშაოების გამო დაზიანებული საცხოვრებელი სახლებიდან აყრილმა სოფელ შუქრუთის მოსახლეობამ⁴⁰ ჯერ ჭიათურაში, ხოლო შემდეგ თბილისში პარლამენტის შენობის წინ გამართა საპროტესტო აქცია. სახელმწიფო მრავალი თვის განმავლობაში რეაგირების გარეშე ტოვებდა მათ პროტესტს. მხოლოდ არჩევნების წინ, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა აქციის მონაწილეებს კომპანიასთან შუამდგომლობა შესთავაზა. არჩევნების დასრულების შემდეგ პრობლემა არათუ არ გადაჭრილა, არამედ გამწვავდა. კომპანია „ჯორჯიან მანგანეზმა“ სრულად შეაჩერა სამუშაოები.⁴¹

2024 წლის ბოლოს უსახლკარობით გამოწვეული კიდევ ორი სოციალური პროტესტი მოხდა, როდესაც უსახლკაროდ დარჩენილმა ოჯახებმა ბათუმში და სოფელ ბუკნარში სახელმწიფო ბალანსზე არსებული შენობები დაიკავეს. სახელმწიფომ ოჯახების წინააღმდეგ საპოლიციო ძალა გამოიყენა და ისინი ორი შენობიდან გამოაძევა,⁴² რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფოს კვლავაც არ აქვს ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფის და უსახლკარობასთან ბრძოლის ერთიანი პოლიტიკა და ხედვა; საცხოვრებლის უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა კი მწირი და ხარვეზიანია. ქვეყანაში არსებული სერვისები (ცენტრალური ხელისუფლების თუ მუნიციპალურ დონეზე), რომლებიც უსახლკარო პირებს მიემართება, პრობლემის მასშტაბურობასთან გასამკლავებლად არასაკმარისი და არაადეკვატურია. სახელმწიფოს არ აქვს გრძელვადიანი, მრავალწლიანი საბინაო პოლიტიკა და გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება თუნდაც სოციალური საცხოვრებლის მოდელი. სახელმწიფოს ერთადერთი პასუხი მასობრივი გავალიანებით, გარემოს დაცვის სტანდარტების დარღვევით ჩატარებულ მოპოვებით სამუშაოებით თუ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად წარმოშობილ უსახლკარობაზე არის მხოლოდ საპოლიციო ძალის გამოყენება და სოციალური უკმაყოფილების რეპრესიული მექანიზმის გამოყენებით ჩახშობა.

ბავშვის უფლებები

2024 წელს ბავშვის უფლებების დაცვა არაერთ მნიშვნელოვან გამოწვევასთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვთა სოციალური უფლებების დაცვის საკითხი, რადგან ქვეყანაში მოქმედი პროგრამები, წინა წლების მსგავსად, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ბავშვებისა და მათი ოჯახების გრძელვადიან მხარდაჭერასა და გაძლიერებას შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრების მისაღწევად.

საანგარიშო პერიოდში, არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის სისტემის გამოწვევებს შორის, კვლავ საყურადღებოა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა, მათ შორის, თავად ბავშვებისა თუ ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა ბავშვთა უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთანავე, პრობლემურია

⁴⁰ ნეტგაზეთი, სოფელი, რომელსაც შეიძლება მიწამ პირი უყოს, 09.09.2024 ხელმისაწვდომია:

<https://netgazeti.ge/life/741159/>

⁴¹ პუბლიკა, „ჯორჯიან მანგანეზი“ ჭიათურაში საწარმოო პროცესს სრულად აჩერებს, 31.10.2024 ხელმისაწვდომია:

<https://publika.ge/chiaturis-magharo-droebit-mushaobas-wyve/>

⁴² უსახლკაროებმა ბათუმში შენობა დაიკავეს, 22.20.2024, ხელმისაწვდომია:

<https://www.mautskebeli.ge/saxli?videoId=YS3bo8LE7JE>

ბავშვების მიმართ ძალადობის დროული გამოვლენა, ეფექტიანი, კოორდინირებული და ბავშვზე მორგებული რეაგირება.⁴³

ევროკომისიის 2024 წლის შეფასებით, საქართველოში ბავშვთა უფლებების დასაცავად საჭირო საკანონმდებლო ბაზა არსებობს, თუმცა სრულად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს საკვანძო სფეროებს, თუმცა არ გააჩნია კონკრეტული ქმედებები/ნაბიჯები, ვადები და ბიუჯეტი, რათა შემუშავდეს ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა. გამოწვევად რჩება ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესების საკითხი. ასევე, დადებითი ნიშნების მიუხედავად, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი კვლავ გამოწვევად არის დასახელებული. გამოთქმულია შემოთავაზება ბავშვთა ძალადობისგან დაცვის არასაკმარის პროცედურებთან და ზომებთან დაკავშირებით.⁴⁴

2024 წლის ივნისში გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა დაასკვნა, რომ საქართველომ დაარღვია ბავშვის უფლებების დაცვის ვალდებულებები იმით, რომ არ მიიღო დაუყოვნებელი ქმედება ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში მცხოვრები ბავშვების მიმართ ხშირი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამო. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ადეკვატური დამხმარე სერვისები, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და უზრუნველყოს ყოვლისმომცველი მხარდაჭერა ოჯახებისთვის.⁴⁵

ევროკომისიის 2024 წლის შეფასებით, ბავშვთა ქორწინების აღმოფხვრა კვლავ გამოწვევად რჩება. 2023 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბავშვთა ქორწინების 152 შემთხვევა აღრიცხული.

ამრიგად, სახელმწიფოს ერთის მხრივ, მიზნად ისახავს ბავშვთა კეთილდღეობას, მათი განვითარებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნას, მეორეს მხრივ კი ვაწყდებით სირთულეებს ჯანდაცვაზე, განათლებაზე, უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოსა და მატერიალურ რესურსებზე წვდომაზე უზრუნველყოფის ნაწილში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მიმდინარე წელს არ განუახლებია მონაცემები, თუმცა 2023 წლის მონაცემებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ ბავშვების 16% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს, რაც სიღარიბის მთელი ქვეყნის მასშტაბით საშუალო მაჩვენებელსა (11.8%) და სხვა ასაკობრივ მაჩვენებელსაც (18-64 წწ - 11.5%; 65 წ. და მეტი - 8%) მნიშვნელოვნად აღემატება⁴⁶.

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის⁴⁷ მიხედვით, საქართველოში ბავშვთა 37.8%-ს აქვს მატერიალური და სოციალური დანაკლისი. მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 47%-ს შეადგენს.

გაეროს ბავშვთა ფონდი მთავრობას მოუწოდებს პრიორიტეტად მიიჩნიოს ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, რათა ყველა ბავშვს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და რთულად მისაწვდომ და მოწყვლად რაიონებში მაცხოვრებლებს, ხელი

⁴³ საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>

⁴⁴ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოების მოლაპარაკებების ვებ გვერდი, commission staff working document, Georgia 2024 report, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი, სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>

⁴⁷ გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) საქართველოში ვებგვერდი.

მიუწვდებოდეთ ხარისხიან და უსაფრთხო ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაზე, კლასგარეშე და სოციალურ ინკლუზიაზე მიმართულ აქტივობებზე, ინოვაციურ საგანმანათლებლო რესურსებსა და სასკოლო თემისგან უწყვეტ მხარდაჭერაზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს რომ სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, კვლავ მაღალია მოსწავლეთა სწავლის მიტოვების, სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი (13,401 მოსწავლე). სწავლის მიტოვებისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში, აჭარაში, იმერეთსა და კახეთში.⁴⁸

საქართველოს სახალხო დამცველის „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, პრობლემურ საკითხად არის დასახელებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის ინკლუზიური და მათ საჭიროებებზე მორგებული განათლების უზრუნველყოფა.⁴⁹ რესურსსკოლების მონიტორინგის ანგარიშის მიხედვითაც ვლინდება, რომ სათანადოდ არ რეალიზდება შეზღუდული შესაძლებლობების ან/და სსსმ მოსწავლეების უფლებები.⁵⁰

გენდერული თანასწორობა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, განსაკუთრებით ხილვადი გახდა მმართველი პარტიის სრული შებრუნება ულტრაკონსერვატიული მიმართულებით. წინასაარჩევნო პერიოდში გაიზარდა გენდერული და ლგბტი+ იდენტობის საკითხებით საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირების მცდელობები. 2024 წლის მარტში „ქართული ოცნების“ მიერ დაინიცირებულ საკანონმდებლო ინიციატივას „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელიც ხელისუფლების შეფასებით, „ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის“ და „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ იყო მიმართული, საჯარო დისკუსიები მოჰყვა. „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა ლიდერებმა საჯარო შეხვედრები გამართეს რეგიონებში. შეხვედრებს ფონად გასდევდა მკვეთრად ანტიგენდერული რიტორიკა.

„ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის 17 სექტემბერს საკონსტიტუციო ცვლილებების ნაცვლად, მიიღო ადამიანის უფლებების შემზღუდავი, ჰომოფობიური კანონპროექტების პაკეტი. ამის კვალდაკვალ, სახელისუფლებო მედიების საშუალებით გააქტიურდა სიძულვილის ენის შემცველი ჰომოფობიური გზავნილები, რომლის პირველწყაროსაც მეტწილად თავად „ქართული ოცნების“ ლიდერები წარმოადგენდნენ. ხელისუფლების ჰომოფობიურ რიტორიკაში დომინირებდა ნარატივი, რომლის თანახმადაც, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი წარმოჩენილი იყო, როგორც ქართულ ღირებულებთან და

⁴⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ვებ გვერდი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>

⁴⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ვებ გვერდი, სპეციალური ანგარიში თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-tanastorobis-mdgomareobis-shesakheb-n9>

⁵⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ვებ გვერდი, სპეციალური ანგარიში რესურსსკოლების მონიტორინგის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/resursskolebis-monitoringis-angarishi>

ტრადიციებთან შეუსაბამო, ხოლო ყველა ის სუბიექტი, ვინც აქტიურად იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, „ქართველობის მტრებად“ შეირაცხნენ.

გენდერული თანასწორობის მიმართულეებით, მნიშვნელოვან უკუსვლას წარმოადგენდა 2024 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველო საარჩევნო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმადაც, პოლიტიკურ პარტიებს აღარ ექნებათ ვალდებულება, საარჩევნო სია გენდერული კვოტირების მოთხოვნების შესაბამისად დააკომპლექტონ. ცვლილებებამდე, პარტიულ სიაში ოთხიდან ერთი კანდიდატი ქალი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული კანონი საქართველოს პარლამენტმა 2020 წელს მიიღო. გენდერული კვოტირების შემოღება კანონმდებლობის ეუთო/ოდირის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავდა მიზნად. პარტია „გირჩის“ მიერ ინიცირებულმა და საპარლამენტო უმრავლესობით მხარდაჭერილმა ღიად ანტიგენდერულმა კანონპროექტმა, რომლის შედეგადაც 2024 წლის 4 აპრილს გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტები, ულტრამემარჯვენე ფლანგის სრული მხარდაჭერა დაიმსახურა. პარლამენტში აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვები ქალთა მიმართ ღიად სექსისტური და მადისკრედიტირებელი მსჯელობის ფონზე მიმდინარეობდა. დეპუტატებმა ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების მისამართით ღირსების შემლახავი და დამაკნინებელი ფრაზები გააჟღერეს.

2024 წელს „ქართული ოცნების“ მხრიდან ტენდენციად ქვეულ ანტიგენდერულ პოლიტიკას ახასიათებს ძალადობრივი პრაქტიკების წახალისება ქალთა მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ და ასევე, მნიშვნელოვნად აღვივებს საზოგადოების ფრაგმენტიზაციასა და პოლარიზაციის პროცესებს. ღიად ანტიგენდერული და ჰომოფობიური შინაარსის კანონპროექტები კი, ისევე, როგორც გენდერული კვოტების გაუქმების საკითხი, „ქართული ოცნების“ ულტრაკონსერვატიულ ფლანგზე მყარად პოზიციონირების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე

ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის სრულფასოვანი შეფასება რთულია, რადგან ამ პერიოდში არათუ ვერ მოხერხდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლა და იქ არსებული ვითარების ჯეროვანი მონიტორინგი, არამედ კიდევ უფრო დამძიმდა საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაო გარემო. ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის ადგილზე შეფასების სირთულე ხაზს უსვამს ოკუპაციის ზონაში მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აგრესიული გახდა რუსეთის შეუნიღბავი ანექსიური პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების შევიწროებაში და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისთვის წაყენებულ ულტიმატუმებში გამოიხატა. ამის მიუხედავად, თბილისისგან განსხვავებით, სადაც საქართველოს პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ორ თვეზე ნაკლებ დროში სამი მოსმენით მიიღო, აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს ჯერ კიდევ არ დაუწყია 2024 წლის თებერვალში ზჰანას მიერ წარდგენილი კანონპროექტის „არაკომერციული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების შესახებ, რომლებიც უცხოური აგენტის ფუნქციას ასრულებენ“ განხილვა. დე

ფაქტო პრეზიდენტის წარუმატებელი მცდელობა აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს სოხუმსა და მოსკოვს შორის საინვესტიციო ხელშეკრულების რატიფიცირება მოეხდინა, ბჟანას საპროტესტო აქციების ფონზე გადადგომით დამთავრდა.

საანგარიშო პერიოდში დე ფაქტო პრეზიდენტმა თანამდებობიდან გადააყენა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინა, რომელიც აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების დაუფარავ მოწინააღმდეგედ მოიაზრებოდა; თუმცა, ამის მიუხედავად, აფხაზეთის უშიშროების სამსახურებს არ შეუწყვეტიათ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერებული კონტროლი. თავის მხრივ, ოკუპირებულ ცხინვალში, სადაც რუსეთის ანალოგიური კანონმდებლობის მიღებამ 2014 წელს ფაქტობრივად გააქრო დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოება და კრიტიკული მედია, ადამიანის უფლებების დაცვა უკვე აღარ წარმოადგენს დე ფაქტო ხელისუფლების პრიორიტეტულ მიმართულებას.

აფხაზეთში უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვამ და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის შექმნილმა ბარიერებმა პირდაპირი გავლენა იქონია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობასა და მათ უსაფრთხოებაზე. ოკუპირებულ აფხაზეთში აფხაზური პოლიციის ხელში მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა გალის მკვიდრი ვიტალი კარბაია; უკვე მეოთხე წელია, სოხუმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრობაში რჩება ირაკლი ბებუა.

2024 წლის მდგომარეობით, აფხაზეთში ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ აქვს ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება. რეგიონში კვლავ მძიმე კრიმინოგენური ვითარებაა, დე ფაქტო ხელისუფლება არ იცავს ადამიანის უფლებების ძირითად სტანდარტებს, შეზღუდულია აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების არარსებობა აფხაზეთიდან ადგილობრივი მოსახლეობის გადინების მთავარი მიზეზია - დემოგრაფიული პრობლემები ყველაზე მწვავედ გალის რაიონში დგას.

ცხინვალის რეგიონში არსებულ პრობლემებს შორის ცენტრალური ადგილი გადაადგილების თავისუფლების კუთხით შექმნილ დაბრკოლებას უჭირავს. ადამიანებს, რომლებმაც კონფლიქტის მიუხედავად საკუთარი სახლები არ დატოვეს, დე ფაქტო უწყებები გადაადგილების თავისუფლების კუთხით სხვადასხვა ბარიერების უქმნიან, რაც მოსახლეობის მდგომარეობას ამძიმებს და მათ სრულფასოვანი ჯანდაცვის სერვისების მიღების, საკვები პროდუქტების, მედიკამენტების შეძენის და ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნების შესაძლებლობას ართმევს. ცხინვალში კვლავ გამოწვევად რჩება განათლების მშობლიურ ენაზე მიღების საკითხი. თუ ახალგორის სკოლებში სწავლა 2017 წლამდე ქართულ ენაზე, ქართული სასწავლო პროგრამით მიმდინარეობდა, 2017 წლის სექტემბრიდან სწავლება სრულად რუსული 6 პროგრამით ჩანაცვლდა. ახალგორში წლებანდელი დამამთავრებელი კლასი უკანასკნელი იყო, რომელმაც განათლება ქართულ ენაზე მიიღო. 2024 წლის სექტემბრიდან რაიონში მოქმედი ექვსი სკოლიდან ერთი სკოლა დაიხურა. ოფიციალური მიზეზი მოსწავლეების არარსებობაა. თუმცა, მოსწავლეების არარსებობის გარდა, სკოლების დახურვის უკან ოკუპირებულ ახალგორში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისა და მათი ოჯახების გაუსაძლისი ყოფა დგას.

მიმდინარე წელს ცხინვალში დე ფაქტო არჩევნები მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა. ოკუპირებული ცხინვალის მხარეს კვლავ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები. 2023 წელს საქართველოს 31 მოქალაქე გაიტაცეს, რაც 2022 წლის მონაცემებს ორჯერ აღემატება. ხაზგასასმელია, რომ დაკავებების ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მოხდა.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ლომისის ეკლესიის მიდამოებში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს სოფელ კირბალის მკვიდრი საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია იმ რუსი ჯარისკაცების ვინაობა, რომლებმაც თამაზ გინტურს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს, 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურას მათთვის ბრალი არ წაუყენებია.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მოსახლეობის ძირითად პრობლემებს შორის ცენტრალური ადგილი ეკონომიკურ სიდუხჭირეს და სოფლების მაცხოვრებელთაგან დაცლას უჭირავს. მოსახლეობის სამუშაო ძალის დიდი ნაწილი ემიგრაციაში იმყოფება. მოსახლეობის მკვეთრი შემცირება შეინიშნება სამეგრელოს სოფლებში; ყაზბეგის მიმართულებით საოკუპაციო ხაზთან არსებული ყველა სოფელი ნასოფლარია და მხოლოდ სამართალდამცავების საგუშაგო ან/და რამდენიმე სასულიერო პირი შეგვხვდა; კვლავ გამოწვევად რჩება სოფლების საბაზისო საჭიროებებით (წყლით, ელექტროენერჯით, ინტერნეტით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობით, ტრანსპორტით და სხვა) უზრუნველყოფა.